2018 წლის ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ჩატარებული ღონისძიებები:

16 თებერვალი - ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა

მონაწილეობა მიიღეს გურიის რეგიონალურ გამოფენა- კონკურსში „ზამთრის ვერნისაჟი", ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე გალერეაში. 2018 წელს ამ გამოფენაში სამხატვრო სკოლის 60 -მდე მოსწავლე იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულ მოსწავლეებს: მარიამ თავართქილაძეს და ვერიკო ქერქაძეს გადაეცათ ფასიანი საჩუქრები და ფულადი ჯილდოები.

1 მარტი - სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები გაიგზავნა ფესტივალზე ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ლიდიცეში,საკონკურსო თემაზე - „წყალი ოქროზე ძვირფასი". აღსანიშნავია, რომ სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა საერთაშორისო კონკურსში უკვე მეექვსედ მიიღეს მონაწილეობა.

21 მარტი - დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე აღინიშნა გაერთიანების მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. (თბილი ემოციების ფონზე დამზადდა ფერადი წინდები, მოიხატა ხელის კონტურები და შესრულდა მუსიკალური ნომრები.)

24 მარტი - ტუბერკულიოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით მოეწყო დაბის ქუჩებში აქცია სლოგანით: „ტუბერკულოზი განკურნებადია", „ერთად დავამარცხოთ ტუბერკულოზი"...საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით დარიგდა შესაბამისი ბუკლეტები.

26 მარტი - გაერთიანების სამუსიკო სკოლის ვაჟთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო თბილისის კლასიკური მუსიკის მე-11 რესპუბლიკური ფესტივალის "მომავლის ვარსკვლავების" შესარჩევ ტურში .(სამუსიკო სკოლა უკვე მეოთხე წელია წარმატებით მონაწილეობს ეროვნულ ფესტივალზე.)

15 მარტი - ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა (როგორც დაბის,ასევე მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან) მ.წლის მარტის თვეში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისში მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მოსწავლეთა რიგით 72-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციის სხვადასხვა სექციაში. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 18 საკონფერენციო ნაშრომიდან 11 მოსწავლის ნაშრომმა მიიღო პირველი ადგილი (დანარჩენი 7 ნაშრომი მეორე და მესამე ადგილებზე გადანაწილდა) და მ.წლის 12 მაისს მოსწავლეები პედაგოგებთან ერთად მიწვეულები არიან ქალაქ თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის მოსწავლეთა რიგით 72-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში - დასაჯილდოვებლად.

2 აპრილი- ა (ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებისა და ა(ა)იპ ჩოხატაურის არაფორმალური განათლების და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით, ბიბლიოთეკის მკითხველთა დარბაზში საბავშვო წიგნის საერთაშორისო და აუტიზმის ცნობადობის ამაღლების დღის აღნიშვნა მოეწყო. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა (ჟურნალისტის წრის ხელმძღვანელი:ეკა კოტრიკაძე) აუტიზმის შესახებ ისაუბრეს და ფაზლები ფერადი ფანქრებით გააფერადეს. ბიბლიოთეკის მენეჯერმა ქალბატონმა მაია მელუამ საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა

მოსწავლეებს - საბავშვო წიგნების მნიშვნელობისა და მათი მოვლის აუცილებლობის შესახებ .ბოლოს, ერთობლივად და ხალისით შეკეთდა დაზიანებული საბავშვო წიგნები.

13 აპრილი- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლაში 13 აპრილს ტრადიციული სააღდგომო გამოფენა გაიმართა,სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა გრაფიკული,ფერწერული და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრები. გამოფენაზე სამახსოვრო სიგელებით დაჯილდოვდნენ განსაკუთრებულად ნიჭიერი და აქტიური მოსწავლეები.

20 აპრილი-.ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლამ მონაწილეობა მიიღო კომპოზიტორ ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებით საღამოზე - ხელოვნების სასახლეში. საღამოზე შესრულდა საფორტეპიანო და საესტრადო ნაწარმოებები სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა მიერ.

27 აპრილი- ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-4 ეროვნული კონკურსის- გურიის რეგიონალური შესარჩევი I ტური გაიმართა. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლის გოგონათა დაწყებითი კლასების გუნდმა (ქორმეისტერი: თ.გურგენიძე და კონცერტმეისტერი: ნ.გოგუაძე) მოიპოვა შემდეგ ტურში მონაწილეობის მიღება,რომელიც ჩატარდება 12 მაისს ქ. თბილისის კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში.

25 აპრილიდან -7 მაისის ჩათვლით- სამუსიკო სკოლის პედაგოგთა(ფორტეპიანო ,ფლეიტა) საკლასო კონცერტების კვირეული მოეწყო.

4 მაისი -სამუსიკო სკოლის ვაჟთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალ ,,მომავლის ვარსკვლავების" გალაკონცერტზე ქ. თბილისის კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში და დაჯილდოვდნენ დიპლომებით.

12 მაისი - სამუსიკო სკოლის დაწყებითი კლასის გოგონათა გუნდმა(ქორმეისტერი: თ.გურგენიძე და კონცერტმეისტერი: ნ.გოგუაძე)მონაწილეობა მიიღო საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-4 ეროვნული კონკურსის მეორე ტურში ქ. თბილისის სახელმწიფო კონსერვარვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში და მოიპოვა მე-2 ადგილი. გუნდი დაჯილდოვდა დიპლომებით, ხოლო მარიამ მგალობლიშვილი ნომინაცია ,,საუკეთესო სოლისტობისთვის" დაფინანსდა ერთწლიანი სტიპენდიით.

18 მაისი - მუზეუმების საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით , ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეებმა, ა(ა)იპ ჩოხატურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარადგინეს შემდეგი საკონფერენციო ნაშრომები:

1. ,, საქართველოს სამხარეო და სამოქალაქო გერბები" - ერკეთის საჯარო სკოლა (მარიამ ხაჭვანი).
2. ,,ვპოვე ფესვები...ბაბუაჩემი"- ერკეთის საჯარო სკოლა (თამარ თედორაძე).
3. ,,ჩემი სოფლის სიტყვა-თქმანი"- ქვენობნის საჯარო სკოლა (ნუცა დოლიძე).
4. ,,ქვევრ-სამარხები და დაკრძალვების წესები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში"- წიფნარის საჯარო სკოლა (გაბრიელ ზაქარეიშვილი).
5. ,,გადავარჩინოთ ბზა"- შუასურების საჯარო სკოლა (ლუბა რამიშვილი და ხათუნა ტრაპაიძე).

24 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი ინტეგრირებული ღონისძიება ჩატარდა სამუსიკო სკოლაში. ეზოში და ფოიეში წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები: ფერწერის, თექის, კერამიკის, მაკრამეს,ხეზე კვეთის, ხალხური რეწვის ნიმუშები(სამხატვრო სკოლა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი) , ხოლო დარბაზში ჩატარდა კონცერტი (სამუსიკო სკოლა) ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედებიდან.

25 მაისი- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო გაერთიანების სამხატვრო სკოლაში მოეწყო კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენა.

26 მაისი- ა(ა)იპ ჩოხატაურის სახლეოვნებო სკოლების გაერთიანებამ (სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი) მიიღო მონაწილეობა საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სარაიონო ღონისძიებაზე. მოსწავლეების მიერ ცარცით მოიხატა ცენტრალურ მოედანი, წარმოდგენილი იყო მოსწავლეთა ნამუშევრები საქართველოს თემაზე და შესრულდა მუსიკალური ნომრები. (საქართველოს ჰიმნი შესრულდა 60 მოსწავლის მიერ)

1 ივნისი - ა(ა)იპ ჩოხატაურის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის დარბაზში თეატრალურმა წრემ წარმოადგინა პრემიერა ნოდარ დუმბაძის - ,,HELLADOS"(ერთმოქმედებიანი სპექტაკლი) ხელმძღვანელი თამარ ფიფია.

4 ივნისი - ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანებამ 2018 წლის 4 ივნისს ხელოვნების სასახლეში გაერთიანებული საანგარიშო ღონისძიება ჩაატარა.ფოიეში წარმოდგენილი იყო სამხატვრო სკოლისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა და სამუსიკო სკოლის საანგარიშო კონცერტი ქუთაისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად. დირიჟორი: რევაზ ჯავახიშვილი.

14 ივნისი- შშმ პირთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო და სამხატვრო სკოლების მოსწავლეებმა ხელოვნების სასახლეში.

26 ივნისი - პირველი კლასის მისაღები გამოცდა სამუსიკო სკოლაში

26 ივნისი - სამუსიკო სკოლის მე-6 კლასის გამოსაშვები ,,კაფე საღამო"

27 ივნისი- პირველი კლასის მისაღები გამოცდა სამხატვრო სკოლაში.

6 ოქტომბერი- 2018 წლის 6 ოქტომბერს ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მუსიკალური ნომრები შეასრულეს ლიტერატურულ კონკურსზე "ჩვენ ვიცნობთ ანას"(ანა კალანდაძის შემოქმედებიდან) - ივლიტას ბიბლიოთეკაში,რომელიც დეკანოზ გიორგი ჯიბუტის ორგანიზებით მოეწყო.

8 ოქტომბერი- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის არაფორმალური განათლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ცენტრის ორგანიზებით, თანამედროვე სახვითი ხელოვნების გალერეაში - სამხატვრო სკოლის მენეჯერის ქალბატონ მზია კვინტრაძის პერსონალური გამოფენა "გურია" მოეწყო.

6 ნოემბერი- საქართველოს მხატვართა კავშირში 6-7-8 ნოემბერს ა(ა)პი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა გრაფიკული, ფერწერული და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენა მოეწყო. გამოფენა -,,მეგობრობის ხიდების"მიზანი იყო ნიჭიერი მოსწავლეების

ნამუშევართა წარმოჩენა , ასევე ჩოხატაურის, ონის და ქ. თბილისის სოლიკო ვირსალაძის სახელობის N1 სამხატვრო სკოლების დამეგობრება. მოსწავლეებს ჩაუტარდა მასტერკლასი ამერიკაში მოღვაწე მხატვრის ვახტანგ მუსხელიშვილის მიერ. გამოფენას ესწრებოდნენ მხატვართა კავშირის თავმჯდომარე: გურამ ცერცვაძე, ღვაწლმოსილი მხატვარი: ლია ბარნაბიშვილი, ხელოვნებათმცოდნე პროფესორი: გუბაზ მეგრელიძე, მხატვრები:ნოდარ სუხიტაშვილი,აჩიკო კუტალაძე, სოსო პაიჭაძე, რომელთა მიერ გამოფენა შეფასდა როგორც ,,ხელოვნების ზეიმი" და ნამუშევრები შემოქმედებით დონეზე შესრულებულად აღიარეს. გამოფენის დასასრულს სიგელებით დაჯილდოვდა სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები.

22 ნოემბერი-ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლაში ჩოხატაურელმა მხატვარი ანზორ თოდრიამ მასტერკლასი ჩაუტარა მოსწავლეებს. ესაუბრა სახვითი ხელოვნების მნიშვნელობაზე, შემოქმედებაზე, მხატვრობის უპირატესობაზე, ჭეშმარიტი ხელოვნების უპირატეს როლზე და მის მაღალ ღირებულებებზე. ასევე ფერწერის ჟანრებზე, კერძოდ მისი შემოქმედების სტილზე, 3d გამოსახულებების, ხელწერის აუცილებლობაზე,ინდივიდუალიზმზე და თვითმყოფადობაზე.

22 ნოემბერი-ა(ა)იპ ჩოხატაურის სამუსიკო სკოლაში 22 ნოემბერს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების გიორგობის დღისადმი მიძღვნილი ინტეგრირებული ღონისძიება გაიმართა.ფოიეში მოეწყო სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, ხოლო დარბაზში კონცერტი სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა მონაწილეობით. ღონისძიების დასასრულს მოსწავლეებს გადაეცათ სიგელები წარჩინებული სწავლისათვის.

29 ნოემბერი- ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამხატვრო სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ ონის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები,რომლებიც გასულ თვეში საქართველოს სამხატვრო კავშირის დარბაზში მოწყობილ გამოფენაზე დამეგობრდნენ.

8 დეკემბერი-2018 წლის 8 დეკემბერს TBC ბანკის საგამოფენო დარბაზში კომპანია ,,კრეატივ ივენთის" მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე ,,მე მინდა საქართველო მიცნობდეს'' მონაწილეობისათვის კატალოგებით დაჯილდოვდნენ ჩოხატაურის სამხატვრო სკოლის მოსწავლეები: ნინო მეგრელიშვილი (პედაგოგი გიზო გიორგაძე) კესა ბერიშვილი (პედაგოგი თეიმურაზ ბერძენიშვილი) ქრისტინე მათითაიშვილი (პედაგოგი თამარ ძნელაძე) ლიზი ამანათოვი(პედაგოგი გიზო გიორგაძე) სალომე ტყეშელიაძე (პედაგოგი მზია კვინტრაძე) ჯაბა თავაძე (პედაგოგი ირმა ღუტიძე)

17 დეკემბერი-ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლის დარბაზში ,,ბარბარობის' დღესასწაულისადმი მიძღვნილი საფორტეპიანო კონცერტი გაიმართა.

19 დეკემბერი-ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ორგანიზებით სამხატვრო სკოლაში წმინდა ნიკოლოზის დღესასწაულისადმი მიძღვნილი გამოფენა მოეწყო, რომელშიც მუსიკალური ნაწარმოებებით მონაწილეობა მიიღეს სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმაც.

26 დეკემბერი-ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლაში საახალწლო კარნავალი გაიმართა .